ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5573047

ნომერი: AR1844864

თარიღი : 17.08.2021

გაცემის თარიღი : 30.08.2021

გაცნობის თარიღი : 01.09.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გაბელაია პ/ნ 01007002618
- თბილისი ს. ცინცაძის ქ. N 50 ბ. 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "კორექტირებული ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - პარალელურად შემოსულია AR1844596 განაცხადი ზედა ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით, შესაბამისად როგორც არსებულ ფოტოზე, ისე ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ თქვენი სარეკონსტრუქციო ფართი გაბარიტული ზომებით და შესაბამისად, დაიანგარიშეთ სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანეთ ფოტომონტაჟზე. თქვენი რეკლამის განთავსებისას გაითვალისწინეთ ზედა ფართზე AR1844596 განაცხადით შესათანხმებელი რეკლამაც. გაითვალისწინეთ: სარეკლამო აბრა უნდა განათავსოთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი, რომელის დამუშავებული იქნება დღეის მდგომარეობით გადაღებულ ფოტომასალაზე და მითითებული იქნება ყველა მასალა და გაბარიტული ზომა.

2. "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის თარიღი" - არასწორია, უნდა იყოს 06 აგვისტო 2021 წ.

3. რაც შეეხება დამკვეთის თანხმობას, ის გაცემულია კონკრეტულად AR1837978 განცხადებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნეს მშენებარე ობიექტის დამკვეთის ახალი თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.